



## Disciplinary Liability of Judges – Prevention or Encouragement

Papuna Guruli

PHD Candidate at Caucasus International University,

Lawyer (General Specialization)

---

### ABSTRACT

Present paper is intended to verify how strongly the current legislation of Georgia is focused on prevention of disciplinary misconduct of judges. The matter is discussed through the prism of the concept of general prevention (Die generalpräventive Lehre). After a consistent review of legislation, following conclusion should be made:

- The main idea of the general prevention – the threat of punishment – is diminished.
- Current Georgian legislation is less than focused on general prevention of disciplinary misconduct of judges;
- Current regulations make it even more difficult to prevent misconducts;
- A deep comprehension of the matter through the prism of concept of general prevention is needed in order to create new, more acceptable regulations.

The discussion offered in this paper has once again stressed on an ever existing problem: It is not necessary at all that a concept developed within certain field of law is used in a restricted way – only within the frame of that same field of law. It should be applied in process of comprehension of a problem that occurred within adjacent field of law if it is applicable considering its subject, problematics or/and methodological base.

---

KEYWORDS: Disciplinary misconduct, General prevention, Justice system

### INTRODUCTION

For a long time, concepts from various disciplines are being imported into legal science and it makes surprise for no one. Legal scholars freely adopt ideas from psychology, psychiatry, sociology etc. and thus try to enhance the law. Keeping that in mind, it seems somewhat odd that concept developed through deep comprehension within certain field of law is almost ignored and hardly ever gets addressed within adjacent field of law despite that it might be applicable considering its subject, problematics or/and methodological base.

In legal literature, as well as in everyday life, the term "prevention" is usually associated with a criminal

offense. This is natural since criminal offense is the most serious type of offenses and therefore its prevention is the number one task for the law.<sup>1</sup> Therefore, it is no surprise that criminal law is the field of law that has primarily provided the deepest comprehension of the concept of prevention. Although this doesn't mean that only criminal offences deserve prevention. Disciplinary, administrative and sometimes even civil offences might bear significant social danger and thus it is important to prevent them as well.<sup>2</sup> The most important is the level of damage that the

1 Team of authors (editors: Nachkebia G., Todua N.). (2018). Criminal Law. General Part. Textbook (Third Edition). Tbilisi, "Meridiani" publishing house, p. 21.

2 Tsereteli T. (2007). Problems of Criminal Law. I Vol.

action might cause to public relations (material illegality).

Disciplinary misconduct of judges is no exception from this approach. It not only violates the interests of a party to the proceedings, but also jeopardizes the smooth administration of justice in general and affects public confidence in the court and its decisions.<sup>3</sup> Considering such great importance, current Georgian legislation casts doubt on the approach chosen by the Georgian legislator. Present paper is intended to answer a question – how strongly the current legislation of Georgia is focused on prevention of disciplinary misconduct of judges?

## METHODOLOGICAL BASE

It would be sensible to discuss the matter through the prism of the concept of general prevention (Die general-präventive Lehre) since that would allow to ask the most critical questions possible. Although it was developed within the framework of criminal law and primarily serves its purposes, its ideas can be easily modified to apply to the matter of disciplinary responsibility of judges.<sup>4</sup>

The concept of the general prevention was developed by Feuerbach. This concept consistently argues that the goal of punishment should be prevention of future crimes rather than punishment (retribution) itself.<sup>5</sup> General prevention consists of two main approaches. The first of them aims to bring a threat of punishment upon citizens, to give them a precise idea about the alleged legal consequences. It is crucial since people, who think of committing an offence although have not made the final decision yet, must reject their criminal ideas under the fear of alleged punishment (negative general prevention).<sup>6</sup> According to this theory, every offence has its own psychological reason that stimulates one to commit it. This stimulus may be subdued if each and every citizen is aware that his/her offence will inevitably

cause a punishment.<sup>7</sup> For this reason this theory is referred as “theory of psychological enforcement” as well. It focuses on bringing legal peace, which is the main goal of law itself. The teaching relies upon the idea that the goal of punishment is to affirm the reality of the legislative threat and that without such affirmation the threat would be useless. It clarifies why the punishment should be used even if there is no risk of the recidivism. If a serious crime goes unpunished, people will inevitably grow expectation of impunity. The use of punishment is necessary to prevent such situation.

The second approach aims to generate legal consciousness within the members of society by implementing legal restrictions, so that they would not intent to commit crimes initially (positive general prevention).<sup>8</sup> This contributes to formation of law-abidingness among citizens.<sup>9</sup> The last must be achieved by saving and strengthening the trust to the legal order. The application of punishment should have the effect of social learning – people should learn loyalty to the law; Also the effect of trust – people should learn that the law is not only written on paper, but comes into action when needed. Loyalty to the law also is characterised by the effect of peace since law obedience makes people peaceful.<sup>10</sup>

## CURRENT LEGISLATION

According to paragraph 1 of article 7544 of Organic Law of Georgia on General Courts: *“The Disciplinary Board shall make a decision on finding a judge guilty of committing a disciplinary misconduct, imposing disciplinary liability on him/her or on applying to him/her with a private recommendation letter if culpable commission of the disciplinary misconduct under this Law by the judge has been proved, by inter-compatible and irrefutable evidence collectively, during hearing a disciplinary case by the Disciplinary Board but, because of a minor significance of the infringement, insignificant degree of the guilt or other grounds (due to sensitivity of the matter or another reason, consideration of the judge’s personality), the Disciplinary Board considers inappropriate to impose disciplinary penalty on the judge and deems it sufficient to apply to him/her with a private recommendation letter.”*

So, according to this legislative norm, a judge may commit a disciplinary misconduct and still go without dis-

---

Tbilisi, “Meridiani” publishing house, pp. 22-25.

3 Henley V. (2013). Neglect of Judicial Duties and its Consequences. Conference on the Independence and Profession of Judges, Tbilisi, pp. 29-39.

4 The matter could be and should be comprehended through the prism of the concept of special prevention (Die spezialpräventive Lehre) as well. Although this goes beyond the subject of present paper and should be discussed in independent work.

5 Von Feuerbach P.J.A.R. (1798). Is the Purpose of the Punishment to Protect Against Crime and is Criminal Law the Law of Prevention. Library for Criminal Jurisprudence and Legal Studies.

6 Roxin, Arzt, Tiedemann. (2013). Introduction to Criminal Law and Criminal Procedural Law. 6th, new revised edition, C.F. Müller, p. 6. (In German).

7 Tskitishvili T. (2019). Punishment and Sentencing. Tbilisi, “Meridiani” Publishing house, p. 27-28.

8 Roxin, Arzt, Tiedemann. The work cited, p. 6.

9 Turava M., 2011 Criminal Law. General Part. Concept of Crime. Tbilisi, “Meridiani” Publishing house, p. 45.

10 Tskitishvili T. The work cited, p. 31.

disciplinary penalty in case of:

1. Minor significance of the infringement;
2. Insignificant degree of the guilt;
3. Other ground (due to sensitivity of the matter or another reason, consideration of the judge's personality).

This article obviously provides legal basis for defence. The fact of its existence in legislation is acceptable, since thanks to it not only grounds of liability are regulated but grounds of exemption from liability as well. Still, the particular types of defence need to be comprehended separately:

Defence number one – minor significance of the infringement – creates no principal controversies. Such defence serves the idea of differentiation of offences, which in turn should assist protection of the principle of proportionality. This is more than important when the action though formally illegal still does not cause significant enough damage to social relations. Such offence doesn't bear significant enough social danger to make liability necessary.<sup>11</sup>

Defence number two – insignificant degree of the guilt – already creates some controversy. Namely, the degree of guilt depends on how strong was one's ability to act differently, how high was his/her level of freedom. The lower was the level of freedom that the offender had during commitment of the act, the lower will be the level of condemnation that the he/she should be subjected to.<sup>12</sup> Although it is hard to imagine that one was fully exempted from liability for this reason. One may be fully exempted from liability only in case if one's guilt was fully disproved. This is possible only if during the committing the offence one had fully lost the ability to act differently. Therefore, insignificant degree of the guilt may serve as a mitigating factor of liability but in no way as a defence.

Defence number three – other ground (due to sensitivity of the matter or another reason, consideration of the judge's personality) – causes even more controversy. It substantially contradicts the concept of general prevention. The vague formulation grants the disciplinary board almost unrestricted right not to punish the judge they like. By all means, it is hard to imagine based on which legal categories one may argue that "sensitivity of the matter" may serve as a defence, i.e. judge has committed a disciplinary misconduct but he/she should go without penalty because the matter is "too sensitive." This causes only astonishment.

As for the formulation "another reason, consideration of the judge's personality", it directly indicates that the

decision may be prejudiced. It would be unacceptable if one argued that the personality of the judge is mentioned here in order to apply to the principle of individualization. The factor of personality of the offender must be already taken into account on the stage of guilt. Accordingly, this matter is already taken into account within the second defence described in paragraph 1 of article 7544 which regulates the matter of guilt. Moreover, the personal factor in this sense may serve as a mitigating factor of liability but by no means as a defence.

It becomes rather apparent that the formulation of paragraph 1 of article 7544 serves one purpose – to minimize the requirements of argumentation of decisions of the disciplinary board in order to enable it not to punish the judge they like. Apart from voluntary decisions and the danger of corruption that it produces, the main idea of the general prevention – the threat of punishment – becomes diminished. The legislator directly indicates that in case of disciplinary misconduct the board is able not to penalize the judge and do it without any real argumentation. With this in mind, a judge has full reason to assume that if he/she commits a misconduct, he/she will have a real chance to go without penalty. Instead of creating a stiff expectation on irreversibility of legal consequences, paragraph 1 of article 7544 creates expectations that those legal consequences can be avoided. The "psychological enforcement" is not provided, the psychological stimulus is not subdued. On the contrary, the judge gets additional psychological stimulus to commit an offense. Consequently, instead of prevention, the misconduct is encouraged.

## CONCLUSION

To sum up, the following conclusion should be made:

- Current Georgian legislation is less than focused on general prevention of disciplinary misconduct of judges;
- Current regulations make it even more difficult to prevent misconducts;
- A deep comprehension of the matter through the prism of concept of general prevention is needed in order to create new, more acceptable regulations.

The discussion offered in this paper has once again stressed on an ever existing problem: It is not necessary at all that a concept developed within certain field of law is used in a restricted way – only within the frame of that same field of law. It should be applied in process of comprehension of a problem that occurred within adjacent field of law if it is applicable considering its subject, problematics or/and methodological base.

11 Tsereteli T. The work cited, pp. 49-64.

12 Ugrekhelidze M. (1978). The Significance of Level of Guilt for Individualization of Punishment. Soviet Law, №6, p. 46.

## NOTES:

1. Team of authors (editors: Nachkebia G., Todua N.). (2018). Criminal Law. General Part. Textbook (Third Edition). Tbilisi, "Meridiani" publishing house, p. 21. (In Georgian)
2. Tsereteli T. (2007). Problems of Criminal Law. I Vol. Tbilisi, "Meridiani" publishing house, pp. 22-25. (In Georgian)
3. Henley V. (2013). Neglect of Judicial Duties and its Consequences. Conference on the Independence and Profession of Judges, Tbilisi, pp. 29-39. (In Georgian)
4. The matter could be and should be comprehended through the prism of the concept of special prevention (Die spezialpräventive Lehre) as well. Although this goes beyond the subject of present paper and should be discussed in independent work. (In German)
5. Von Feuerbach P.J.A.R. (1798). Is the Purpose of the Punishment to Protect against Crime and is Criminal Law the Law of Prevention. Library for Criminal Jurisprudence and Legal Studies. (In German)
6. Roxin, Arzt, Tiedemann. (2013). Introduction to Criminal Law and Criminal Procedural Law. 6th, new revised edition, C.F. Müller, p. 6. (In German)
7. Tskitishvili T. (2019). Punishment and Sentencing. Tbilisi, "Meridiani" Publishing house, p. 27-28. (In Georgian)
8. Roxin, Arzt, Tiedemann. The work cited, p. 6. (In German)
9. Turava M., 2011 Criminal Law. General Part. Concept of Crime. Tbilisi, "Meridiani" Publishing house, p.45. (In Georgian)
10. Tskitishvili T. The work cited, p. 31. (In Georgian)
11. Tsereteli T. The work cited, pp. 49-64. (In Georgian)
12. Ugrekhelidze M. (1978). The Significance of Level of Guilt for Individualization of Punishment. Soviet Law, №6, p. 46. (In Georgian)

## მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა – პრევენცია თუ წახალისება

### პაპუნა გურული

კაკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი  
ადვოკატი საერთო სპეციალობით

საკვანძო სიტყვები: დისციპლინური გადაცდომა, გენერალური პრევენცია, მართლმსაჯულება

### შესავალი

უკვე დიდი ხანია გაკვირვებას აღარ იწვევს სამართალში სხვადასხვა დისციპლინებიდან ნასესხები დებულებების დამკვიდრება. მკვლევარებს თამამად შემოაქვთ იდეები ფსიქოლოგიიდან, ფსიქიატრიიდან, სოციოლოგიიდან თუ სხვა დისციპლინებიდან და ცდილობენ ამით გაამდიდრონ სამართალი. ამ ფონზე რამდენადმე პარადოქსულია, რომ სამართლის ერთი დარგის ფარგლებში სიღრმისეული გააზრების შედეგად ჩამოყალიბებული დებულება ფაქტობრივად იგნორირებულია და არ გამოიყენება სამართლის მომიჯნავე დარგში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა იგი მიესადაგებოდეს კიდევ მას საგნის, პრობლემემატიკის ან/და მეთოდოლოგიური საფუძვლის თვალსაზრისით.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში ტერმინი „პრევენცია“, როგორც წესი, დანაშაულს უკავშირდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დანაშაული მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ყველაზე მძიმე ფორმაა და მისი პრევენციაც სამართლის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ პრევენციის საკითხების ყველაზე სიღრმისეულად გააზრება უპირატესად სწორედ სისხლის სამართალმა უზრუნველყო. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ პრევენცია

<sup>1</sup> ავტორთა კოლექტივი (რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ.). (2018). სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო). ზოგადი ნაწილი. მესამე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 21.

მხოლოდ სისხლისსამართლებრივ დარღვევას სჭირდება. დისციპლინური, ადმინისტრაციული და ზოგჯერ სამოქალაქო სამართალდარღვევაც კი შესაძლოა ქმნიდეს მაღალი ხარისხის საზოგადოებრივ საშიშროებას და, მაშასადამე, მათი პრევენციაც აუცილებელია.<sup>2</sup> ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომის ზიანს აყენებს ესა თუ ის ქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებს (მატერიალური მართლწინააღმდეგობა).

გამონაკლისს არ წარმოადგენს მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომაც. ეს ქმედება საფრთხეს უქმნის როგორც მხარეთა ინტერესებს, ისე მართლმსაჯულების განუხრელად განხორციელებას და საზოგადოებაში აჩენს უნდობლობას სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი.<sup>3</sup> ასეთი დიდი მნიშვნელობის ფონზე, კითხვებს აჩენს ქართველი კანონმდებლის მიდგომა, რომელიც დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არის გამოყენებული. წინამდებარე მოხსენების მიზანია პასუხის გაცემა კითხვაზე – რამდენად არის ორიენტირებული საქართველოს დღეს მოქმედი კანონმდებლობა მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის პრევენციაზე?

## მეთოდოლოგიური საფუძველი

აუცილებლობა მოითხოვს საკითხი განხილულ იქნეს გენერალური პრევენციის შესახებ მოძღვრების (Die generalpräventive Lehre) კრილში, რადგან სწორედ მისი წყალობითაა შესაძლებელი ყველაზე კრიტიკული კითხვების დასმა. მართალია, ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის ფარგლებში ჩაისახა და უპირატესად სისხლის სამართლის მიზნებს ემსახურება, მაგრამ მასში განვითარებული დებულებები ადვილად შეიძლება მიესადაგოს მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასაც.<sup>4</sup>

გენერალური პრევენციის შესახებ მოძღვრება ფორმირებას ეკუთვნის. იგი თანმიმდევრულად ასაბუთებს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების მთავარი მიზანი არა ადამიანის დასჯა, არამედ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება უნდა

იყოს.<sup>5</sup> გენერალური პრევენცია ორ მიმართულებას გულისხმობს. პირველი მიმართულება ორიენტირებულია საზოგადოების წევრების მიმართ სასჯელის მუქარაზე, მათში ზუსტი შეხედულების ჩამოყალიბებაზე მოსალოდნელ იურიდიულ შედეგებთან დაკავშირებით. ეს აუცილებელია, რათა ადამიანებმა, რომლებიც ფიქრობენ დანაშაულის ჩადენაზე, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, მოსალოდნელი სასჯელის შიშით უარი თქვან კრიმინალური სურვილების სისრულეში მოყვანაზე (ნეგატიური გენერალური პრევენცია).<sup>6</sup> ამ თეორიის მიხედვით, ყველა დარღვევას აქვს წარმოშობის საკუთარი ფსიქოლოგიური მიზეზი, რომელიც ადამიანს ქმედების განხორციელების სტიმულს აძლევს. აღნიშნული სტიმული შეიძლება აღმოიფხვრას, თუ ყველას ეცოდინება, რომ მისი ქმედება გარდაუვლად მოუვლენს სასჯელს.<sup>7</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ თეორიას „ფსიქოლოგიური იძულების თეორიასაც“ უწოდებენ. იგი თავიდანვე ორიენტირებულია სამართლებრივი მშვიდობის უზრუნველყოფაზე, რაც არის კიდევ სამართლის მთავარი ამოცანა. ეს სწავლება ეყრდნობა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასჯელის მიზანი საკანონმდებლო მუქარის ნამდვილობის დასაბუთებაა, რის გარეშეც მუქარა უმოქმედო იქნებოდა. იგი ასევე ხსნის, თუ რატომ არაა მართებული სასჯელის გამოყენებაზე უბრალოდ უარის თქმა, მაშინაც კი, როცა არ არსებობს განმეორების საფრთხე. როცა სერიოზული დანაშაული დაუსჯელი რჩება, ეს სხვებში დაუსჯელობის შეგრძნებას აღვივებს. სწორედ ასეთი ვითარების თავიდან ასაცილებლად არის საჭირო სასჯელის გამოყენება.

მეორე მიმართულება მიზნად ისახავს, იურიდიული აკრალვების დანერგვის მეშვეობით, საზოგადოების წევრთა მართლშეგნების ჩამოყალიბებას, რათა მათ თავიდანვე არ განიზრახონ დანაშაულის ჩადენა (პოზიტიური გენერალური პრევენცია).<sup>8</sup> იგი ემსახურება ადამიანებში სამართალმორჩილების უნარის გამომუშავებას.<sup>9</sup> ეს

2 წერეთელი თ. (2007). სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 22-25.

3 Henley V. (2013). Neglect of Judicial Duties and its Consequences. Conference on the Independence and Profession of Judges, Tbilisi, pp. 29-39.

4 საკითხის განხილვა აგრეთვე შესაძლებელი და საჭიროა სპეციალური პრევენციის შესახებ მოძღვრების (Die spezialpräventive Lehre) კრილშიც, თუმცა აღნიშნული ცდება წინამდებარე მოხსენების ფარგლებს და ცალკე ნაშრომის საგანია.

5 Von Feuerbach P.J.A.R. (1798). Ist Sicherung vor dem Verbrechen Zweck der Strafe und ist Strafrecht Präventionsrecht. Bibliothek für die peinliche Rechtswissenschaft und Gesetzkunde.

6 Roxin, Arzt, Tiedemann. (2013). Einführung in das Strafrecht und Strafprozessrecht. 6., neue bearbeitete Auflage, C.F. Müller, S. 6.

7 ცქიტიშვილი თ. (2019). სასჯელი და მისი შეფარდება. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 27-28.

8 Roxin, Arzt, Tiedemann. დასახელებული ნაშრომი, S. 6.

9 ტურავა ტ. (2011). სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება. თბილისი, გა-

უკანასკნელი უნდა მიღწეულ იქნეს მართლწესრიგის ძალმოსილებისადმი ნდობის შენარჩუნებისა და გაძლიერების მეშვეობით. სასჯელის გამოყენებას უნდა გააჩნდეს დასწავლის ეფექტი – ადამიანების მიერ სამართლისადმი ერთგულების დასწავლა; ასევე ნდობის ეფექტი, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც მოქალაქეები ხედავენ, რომ სამართალი არა მხოლოდ ქალაქდზე წერია, არამედ რეალურად ხორციელდება კიდევ; სამართლისადმი ერთგულების ჩამოყალიბებას ასევე ახასიათებს დამშვიდების ეფექტი, რომელიც განპირობებულია იმით, რომ მართლწესრიგის დაცვა საერთო სიმშვიდეს იწვევს.<sup>10</sup>

## დღევანდელი კანონმდებლობა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 7544-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „სადისციპლინო კოლეგია იღებს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის, მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა, მაგრამ დარღვევის მცირე მნიშვნელობის ან ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო ან სხვა მოტივით (საკითხის დელიკატურობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით) სადისციპლინო კოლეგია მიზანშეუწონლად თვლის მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას და საკმარისად მიაჩნია მისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.“

მაშ ასე, საკანონმდებლო ნორმის თანახმად, მოსამართლემ შეიძლება ჩაიდინოს დისციპლინური გადაცდომა და მას მაინც არ დაეკისროს პასუხისმგებლობა შემდეგი საფუძვლებით:

- დარღვევის მცირე მნიშვნელობა;
- ბრალის უმნიშვნელო ხარისხი;
- სხვა მოტივი (საკითხის დელიკატურობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლის გათვალისწინებით).

ეს მუხლი თავისი შინაარსით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ნორმაა. თავისთავად, კანონში მისი არსებობა მისასალმებელია, რა-

დგან რეგულირდება არა მხოლოდ პასუხისმგებლობის დაკისრების, არამედ მისი გამორიცხვის საკითხებიც. თუმცა, საჭიროა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი თითოეული პირობის ცალ-ცალკე განხილვა:

პირველი გარემოება – დარღვევის მცირე მნიშვნელობა – პრინციპულ წინააღმდეგობას არ იწვევს. ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების იდეა ემსახურება სამართალდარღვევათა დიფერენცირებას, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს თანაბომიერების პრინციპის დაცვას. აღნიშნული ერთიორად აქტუალურია, როდესაც ქმედება ფორმალურად არის მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ მატერიალურად უმნიშვნელო ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ასეთი დარღვევა თავის თავში არ ატარებს სოციალური საშიშროების საკმარისად მაღალ ხარისხს, რათა აუცილებელი იყოს პასუხისმგებლობის დაკისრება.<sup>11</sup>

მეორე გარემოება – ბრალის უმნიშვნელო ხარისხი – უკვე იწვევს გარკვეულ წინააღმდეგობას. კერძოდ, ბრალის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჰქონდა ადამიანს სხვაგვარად ქცევის საშუალება, რამდენად დიდი იყო მისი თავისუფლების ხარისხი. რაც უფრო ნაკლები თავისუფლების ხარისხი ჰქონდა პიროვნებას ქმედების ჩადენის დროისათვის, მით უფრო ნაკლები იქნება გასაკიცხაობის ხარისხიც, რომელსაც იგი უნდა დაექვემდებაროს.<sup>12</sup> თუმცა, ამის საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან სრულიად გათავისუფლება ძნელად წარმოსადგენია. პასუხისმგებლობა მთლიანად გამოირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულად გამოირიცხა ბრალი, ანუ თუ დადგინდა, რომ ადამიანს საერთოდ არ შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა. შესაბამისად, ბრალის ხარისხის სიმცირე შესაძლოა გამოდგეს პასუხისმგებლობის მხოლოდ შემამსუბუქებელ გარემოებად, მაგრამ არანაირად გამომრიცხველ გარემოებად.

მესამე გარემოება – სხვა მოტივი (საკითხის დელიკატურობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით) – ყველაზე მეტ წინააღმდეგობას იწვევს. იგი არსებითად შეუსაბამოა გენერალური პრევენციის სწავლებასთან. ფორმულირების მეტად ბუნდოვანება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს პრაქტიკულად შეუზღუდავ უფლებამოსილებას

11 იხ.: წერეთელი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ 49-64.

12 იხ.: უგრეხელიძე მ. (1978). ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. საბჭოთა სამართალი, №6, გვ. 46.

მომცემლობა მერიდიანი, გვ. 45.

10 ცქციტიშვილი თ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.

აძლევს – პასუხისმგებლობა არ დააკისროს მისთვის სასურველ მოსამართლეს. თავისთავად, „საკითხის დელიკატურობის“ გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება გაცემის მეტს ვერაფერს იწვევს. ძნელად წარმოსადგენია, თუ რომელი იურიდიული კატეგორიებით შეიძლება დასაბუთდეს ის, რომ მოსამართლემ გადაცდომა კი ჩაიდინა, მაგრამ საკითხი ზედმეტად დელიკატური აღმოჩნდა და ამიტომ მას პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს.

რაც შეეხება ფორმულირებას – „სხვა მიზეზი მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით“ – იგი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლებელია გადაწყვეტილება მიკერძოებული იყოს. ასეთი მიდგომის დასაბუთება მიუღებელი იქნება იმით, რომ თითქოს დამრღვევის პიროვნებაზე მიუთითებთ ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვის მიზნითაა გაკეთებული. დამრღვევის პიროვნება, როგორც ფაქტორი, ისედაც გათვალისწინებული უნდა იყოს ბრალის ეტაპზე. შესაბამისად, ეს საკითხი ისედაც გათვალისწინებულია 7544-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე გარემოებაში, რომელიც ბრალს ეხება. რაც მთავარია, პიროვნული ფაქტორი ამ გაგებით შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ შემამსუბუქებელი და არანაირად გამომრიცხავი გარემოება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ 7544-ე მუხლის პირველი პუნქტის ასეთი ფორმულირება ემსახურება მიზანს – მინიმუმამდე დაიყვანოს სადისციპლინო კომისიის მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი და მაქსიმალურად გაუხსნას მას ხელი სასურველი მოსამართლისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების თვალსაზრისით. გარდა თვითნებური გადაწყვეტილების მიღებისა და, აქედან გამომდინარე, კორუფციული საფრთხისა, დარტყმის ქვეშ დგება თავად გენერალური პრევენციის მთავარი იდეა – სასჯელის მუქარა. კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, სადისციპლინო კომისიას უფლება აქვს არ დააკისროს მას პასუხისმგებლობა, თანაც გააკეთოს ეს რეალური დასაბუთების გარეშე. ამის ფონზე მოსამართლეს უნდა სრული საფუძველი ივარაუდოს, რომ მის მიერ გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მას ექნება თავის დაძვრენის რეალური საშუალება. უარყოფითი იურიდიული შედეგების გარდუვალობის შესახებ ზუსტი წარმოდგენის ჩამოყალიბების ნაცვლად, 7544-ე მუხლის პირველი პუნქტი მოსამართლეს თავის დაძვრენის შესაძლებლობის შესახებ წარმოდგენას უყალიბებს. არ ხორციელდება „ფსიქოლოგიური იძულება“, არ ხდება ფსიქო-

ლოგიური სტიმულის აღმოფხვრა. პირიქით, მოსამართლეს დარღვევის ჩადენის დამატებითი ბიძგი ეძლევა. საბოლოო ჯამში კი, ნაცვლად დისციპლინური გადაცდომის პრევენციისა, ხდება მისი წახალისება.

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია გაკეთდეს დასკვნა:

- საქართველოს დღეს მოქმედი კანონმდებლობა ნაკლებად არის ორიენტირებული მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის გერენალურ პრევენციაზე;
- არსებული რეგულაციები ართულებს გადაცდომათა თავიდან აცილებას;
- საჭიროა საკითხის სიღრმისეული გააზრება გენერალური პრევენციის ქრილში და ამის საფუძველზე ახალი, მეტად მისაღები რეგულაციების შემუშავება.

წინამდებარე მოხსენებაში განვითარებულმა მსჯელობამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მეტად საჭირობოროტო საკითხს: სულაც არ არის სავალდებულო, რომ სამართლის რომელიმე დარგში განვითარებული დებულება გამოიყენებოდეს შეზღუდულად, მხოლოდ მშობლიური დარგის ფარგლებში. მისი მოხმობა სასურველია სხვა, მომიჯნავე დარგის პრობლემის გააზრებისასაც, თუ იგი მიესადაგება მას საგნის, პრობლემატიკის ან/და მეთოდოლოგიური საფუძვლის თვალსაზრისით.